



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 25

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 მარტის N19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

25 მარტი, 2020 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება “საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 მარტის N19 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - “1. საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, 2020 წლის 25 აპრილამდე სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი):
 - ა) მეცნიერი თანამშრომლები გადავიდნენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე და აეკრძალოთ მათ ცენტრში გამოცხადება;
 - ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (საორგანიზაციო და დამხმარე ხასიათის სტრუქტურულ ერთეულები) თანამშრომლებს და საკონკურსო კომისიების წევრებს დაევალოთ ცენტრის ფუნქციონირებისა და აუცილებელი სამუშაოების შესრულება დისტანციურ რეჟიმში, ხოლო სამუშაო ადგილზე გამოცხადება სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე.“
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილებას ამ ბრძანების სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.manuscript.ge) გამოქვეყნება.
3. დაევალოს სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დირექტორი

ზაალ აბაშიძე

